

საგანგებო და კრიზისული სიტუაციების

მართვა საქართველოში

მარიამ კუზანაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო
პოლიტიკის ადმინისტრირების საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

პროექტის ხელმძღვანელი: არჩილ აბაშიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებელ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ კუზანაშვილი

27.06.2016

აბსტრაქტი

90-იან წლებში საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემა ფაქტობრივად ჩამოიშალა. გაუქმდა სამსახურები, შეწყდა დაფინანსება და თითქმის მთლიანად განადგურდა არსებული ინფრასტრუქტურა. 2008 წლიდან ამ კუთხით გადაიდგა რიგი პოზიტიური ნაბიჯები, კერძოდ შეიცვალა სისტემა, ფუნქციები გადანაწილდა სხვადასხვა პასუხისმგებელ დაწესებულებებზე, შეიქმნა საკანონმდებლო ბაზა, ჩამოყალიბდა ახალი სამსახურები, თუმცა სისტემაში დღემდე ბევრი ბუნდოვანი ასპექტია, რომელიც ძირეულ დახვეწას საჭიროებს.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია დეტალურად აღწეროს საგანგებო სიტუაციების მართვის ქართული სისტემა და ყურადღება გაამახვილოს ძირეულ გამოწვევებსა და ნაკლოვანებებზე, რომლებზე დროული მუშაობა გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს ქვეყნისათვის ამ კუთხით. თემაში დეტალურად იქნება განხილული საგანგებო მდგომარეობებში ჩართული სამსახურები, მათი სტრუქტურა, სამუშაო პროცედურები, საგანგებო მდგომარეობების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა და ამასთან ერთად განვიხილავთ ესტონეთის სისტემას, როგორც ეფექტური მართვის მოდელს.

2015 წლის 13 ივნისის თბილისის სტიქიამ ნათლად წარმოაჩინა სახელმწიფოს მხრიდან საგანგებო მდგომარეობების პრევენციის, მზაობისა და რეაგირების კუთხით არსებული ნაკლოვანებები. სწორედ ამ კონკრეტულ შემთხვევასთან პარალელურად გავლების ფონზე, ვისაუბრებთ საქართველოს საგანგებო მდგომარეობების მართვის სისტემის ძლიერ და სუსტ მხარეებზე და მის მაგალითზე იქნება წარმოდგენილი საგანგებო სიტუაციების მართვასა და მის პრევენციასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, რომლებიც ვფიქრობთ, უფრო მოქნილი მართვისა და კოორდინირებული ქმედებების მომტანი იქნება სისტემისთვის.

Abstract

A devastating flood in Tbilisi in June 2015 revealed all deficiencies that the Georgian emergency management system suffers from in terms of prevention, readiness, coordination and responsiveness. I use the 13 June case to highlight strength and weakness of the Georgian emergency management system, and against this background present the recommendations for further improvements. The proposed changes will transform the existing emergency management agencies into a flexible, responsive and effective system.

In 1990s, the emergency management system effectively collapsed in Georgia. Relevant agencies were abolished, funding canceled and the supporting infrastructure almost entirely demolished. Since 2008, authorities have taken several positive steps, including structural changes, reallocation of duties and responsibilities, adaptation of new laws, and establishment of new agencies. However, the emergency system still faces several challenges that deserves fundamental solutions.

The aim of this master's thesis is to describe the Georgian emergency management system in detail and identify critical challenges and deficiencies that require swift reaction. The thesis provides the detailed description of all relevant agencies involved, existing standard operating procedures, and legislation. In parallel, I present the similar system in Estonia as an effective alternative model for Georgia.